

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრის
ოქმი: 9

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შენობაში 2017 წლის 28 ივნისს, 11:30 სთ–ზე.

ამოცანები:

- ჯგუფის წევრების ინფორმირება და დისკუსია ქსს ევოლუციის გეგმის მონახაზზე, რომელიც წარმოადგინეს Euro Health Group–ის (EHG) კონსულტანტებმა;
- პასკ–ის როლის განსაზღვრა ქსს ევოლუციის გეგმის შემუშავების პროცესში და ჯგუფის შემდგომი მუშაობის წესების განსაზღვრა.

ესწრებოდნენ:

<i>ნინო ბერძული</i>	პასკ–ის თავმჯდომარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მოადგილე
<i>ტიმ კლერი</i>	EHG–ის კონსულტანტი
<i>სანია მატოვიჩი</i>	EHG–ის კონსულტანტი
<i>ნინო ბადრიძე</i>	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის ეპიდემიოლოგიური განყოფილების გამგე
<i>ქეთევან სტილია</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მენეჯერი
<i>ციცი სურამელი</i>	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი
<i>დალი უშარიძე</i>	არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი გზა“
<i>კონსტანტინე ლაბარტყავა</i>	არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ვექტორი“
<i>გიორგი მაღრაძე</i>	საქართველოს ჯანმრთელობისა და განათლების ხელშეწყობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე
<i>ირინა გრძელიძე</i>	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი
<i>ნათია ხონელიძე</i>	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული ასისტენტი
<i>თამარ ზურაშვილი</i>	პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, პასკ–ის თავმჯდომარემ, **ქ–ნმა ნინო ბერძულმა**, რომელიც მიესალმა დამსწრეებს და გააცნო შეხვედრის

მიზანი – დისკუსია ქსს ევოლუციის გეგმასთან დაკავშირებით და პასკ-ის როლი აღნიშნული გეგმის შემუშავების პროცესში. მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას მან ხაზი გაუსვა გარდამავალი პერიოდის მნიშვნელობას, ვინაიდან ვიმყოფებით გლობალური ფონდის დახმარების ამოწურვის ფაზაში. ეს არის კრიტიკული პერიოდი, როდესაც მნიშვნელოვანია ვუზრუნველყოთ პროგრამების ზედამხედველობა და სწორი მიმართულებით წარვმართოთ ისინი, რათა ისევე ნაყოფიერად მოხდეს მათი გაგრძელება, როგორც ეს იყო გლობალური ფონდის პროგრამების განხორციელების პროცესში. მან აღნიშნა, რომ პასკ-ი ჩამოყალიბდა როგორც ძირითადი პლატფორმა გარდამავალი გეგმის მომზადების პროცესში აივ და ტუბერკულოზის სფეროში მომუშავე ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გეგმა დამტკიცებულ იქნა როგორც პასკ-ის, ისე ქსს-ს მიერ. ქ-ნმა ნინო ბერძულმა ხაზგასმით აღნიშნა ქსს-ს როლისა და ფუნქციების გადახედვის მნიშვნელობა, უნდა მოხდეს იმის შეფასება თუ რა უნდა გაკეთდეს და ეს ყოველივე შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყნის კონტექსტთან. მან დაადასტურა, რომ პასკ-ი კვლავ იქნება პლატფორმა ქსს ევოლუციის გეგმის შემუშავების პროცესში და მოამზადებს წინადადებებს გარდამავალ პერიოდში, ასევე მის შემდგომ ქსს-ს როლისა და ფუნქციების შესახებ. მან სიტყვა გადასცა **ბ-ნ ტიმ კლერის**.

ბ-ნი ტიმ კლერი მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს, მოკლედ წარუდგინა თავი და მისი კოლეგა **ქ-ნი სანია მატოვიჩი**. მან ისაუბრა საქართველოში მის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის GIZ-ის მიერ დაფინანსებული ქსს კვლევის შესახებ, რომელიც 5 ქვეყანაში ჩატარდა: ეთიოპია, საქართველო, განა, გვინეა და მოლდოვა. მან აღნიშნა, რომ ამჟამინდელი ვიზიტი ფაქტობრივად წარმოადგენს აღნიშნული კვლევის შემდგომ პროცესს და რომ GIZ-ი აფინანსებს EHG-ის მიერ ქსს გარდამავალი გეგმის შემუშავებას. ბ-ნმა ტიმ კლერმა ისაუბრა ქსს ევოლუციის იმ 7 ვერსიის შესახებ (**ვერსია 1:** შენარჩუნდეს სტატუს-ქვო; **ვერსია 2:** გლობალური ფონდის დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ შეწყდეს ქსს-ს ფუნქციონირება; **ვერსია 3:** შენარჩუნდეს ქსს, როგორც უნიკალური სტრუქტურა, მაგრამ გახდეს შჯსდს-სთან არსებული საბჭო და გააგრძელოს წარსულში არსებული პრაქტიკის გამოყენება; **ვერსია 4:** გახდეს ჯანმრთელობის უფრო ფართო ორგანოს ქვეკომიტეტი; **ვერსია 5:** გახდეს საზედამხედველო ორგანო, მოახდინოს გარდამავალი პროცესების ზედამხედველობა, უზრუნველყოს გარდამავალი პერიოდის გეგმის განხორციელება, მოახდინოს ეროვნული პროგრამების ზედამხედველობა; **ვერსია 6:** მოხდეს სხვა რომელიმე არსებულ ორგანოსთან შერწყმა; **ვერსია 7:** შეიქმნას სახელმწიფო-კერძო განმახორციელებელი ერთეული, რომელიც გამოიყენებს ქსს-ს პრაქტიკას), რომელიც განხილულ იქნა საქართველოს ქსს-ს ინტეგრაციის კვლევის სამუშაო შეხვედრაზე 2016 წლის მაისში. აღნიშნული 7 ვერსიიდან დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობისთვის მისაღები აღმოჩნდა 2 ვერსია: (ვერსია 1) შენარჩუნდეს სტატუს-ქვო და (ვერსია 3) გახდეს შჯსდს-სთან არსებული საბჭო, რომელიც შეინარჩუნებს ქსს-ს ფუნქციებს. ბ-ნმა ტიმ კლერმა ხაზი გაუსვა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს: ქსს ევოლუციის გეგმა უნდა იყოს რეალური, უნდა განისაზღვროს თუ რას ველით ქსს-გან ქვეყნიდან გლობალური ფონდის გასვლის შემდეგ, ასევე უნდა ვიფიქროთ ქსს-ს დაფინანსებაზე, მათ შორის სამდივნოს შენარჩუნებაზე. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ პოზიტიურ ფაქტს, რომ საქართველოს ქსს-ს აქვს ბრძანება #220, რომელსაც კონსულტანტები იყენებენ, როგორც მაგალითს სხვა ქვეყნებისათვის.

აღნიშნული ბრძანების მიხედვით ქსს არის ქვეყნის ეროვნული საკოორდინაციო ორგანო აივ და ტუბერკულოზის პროგრამებისათვის, იყენებს გლობალური ფონდის რეგულაციებს, მათ შორის საბჭოში სამოქალაქო საზოგადოების წევრების წარმომადგენლობასთან დაკავშირებით. ბ-ნმა ტიმ კლერმა კმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტით, რომ პასკ-ი იქნება ძირითადი ორგანო, სადაც მოხდება განხილვები ქსს-ს ევოლუციის გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით და რომ პოლიტიკისა და ადვოკატირების სპეციალისტის სახით კონსულტანტებს ეყოლებათ ძირითადი საკონტაქტო პირი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ქ-ნი სანია მატოვიჩი – მიესალმა დამსწრეებს და აღნიშნა, რომ GIZ-ის მხარდაჭერის ფარგლებში ისინი იმყოფებიან საქართველოში ქსს ევოლუციის გეგმის შემუშავების მიზნით, თუმცა შესაძლებელია აღნიშნულ პროცესებში სხვა ნებისმიერი ტექნიკური დახმარების გაწევაც საჭიროების მიხედვით.

ბ-ნი ტიმ კლერი – ასევე აღნიშნა ის დადებითი ფაქტი, რომ პროგრამული გარდამავალი პერიოდის გეგმა უკვე შემუშავებულია. მან მოახსენა დამსწრეებს, რომ ქსს ევოლუციის გეგმის შემუშავება მოხდება მომდევნო 3-6 თვის განმავლობაში და რომ მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში მიიღო შემდეგი რჩევები: (1) ქსს ევოლუციის გეგმა შემუშავდეს და გახდეს პროგრამული გარდამავალი პერიოდის გეგმის ნაწილი, რათა ერთდროულად მოხდეს მთავრობის მიერ დასამტკიცებლად მათი წარდგენა, რაც ბიუროკრატიული თვალსაზრისით გაადვილებს პროცესს და (2) მოხდეს გეგმის ყოველწლიური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა.

ქ-ნმა ნინო ბერძულმა აღნიშნა, რომ სისტემების დინამიკური და განვითარებადი ბუნების გათვალისწინებით, პროგრამული გარდამავალი პერიოდის გეგმის გადახედვა უკვე გათვალისწინებულია 2017 წლის ბოლოსათვის, რათა მოხდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა და რომ გეგმის გადახედვა ყოველწლიურად მოხდება. მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ქსს ევოლუციის გეგმის შემუშავების პროცესი მომდევნო 3-6 თვის განმავლობაში წარიმართება და პასკ-ი გამოყენებულ იქნება, როგორც პლატფორმა კონსულტაციებისა და დიალოგის წარმართვისთვის ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. ეს იქნება პროგრამული გარდამავალი პერიოდის გეგმის შემუშავების მსგავსი პროცესი.

ქ-ნმა ქეთევან სტვილიამ მოიწონა მოსაზრება ზემოაღნიშნული ორი გეგმის მთავრობის მიერ დასამტკიცებლად ერთდროული წარდგენის თაობაზე, თუმცა აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვანი აცდენა მოხდეს პროგრამული გეგმის დამტკიცების გლობალური ფონდის დედლაინთან და რომ საჭირო იქნება ამ საკითხის თაობაზე გლობალური ფონდის პროტოკოლის მენეჯერთან კონსულტაციის გავლა. მან ასევე წამოჭრა შეკითხვა ქსს ევოლუციის გეგმის ბიუჯეტთან დაკავშირებით.

ბ-ნმა ტიმ კლერმა განაცხადა, რომ ქსს-ს მომავალი ბიუჯეტის თაობაზე განხილვები უნდა აწარმოოს პასკ-მა – საიდან მოვა აღნიშნული რესურსები და როგორი იქნება ისინი, ასევე უნდა გადაიხედოს ქსს-ს მომავალი ფუნქციები, რათა ისინი შესაბამისობაში იყოს ახალ, შესაძლოა შემცირებულ ბიუჯეტთან. რაც შეეხება ქსს ევოლუციის გეგმის განხორციელების ბიუჯეტს, კონსულტანტის

აზრით, აქ გასათვალისწინებელია გეგმის მონიტორინგთან დაკავშირებული ბიუჯეტი. გამომდინარე იქიდან, რომ ქსს-ს შეუძლია თვითმონიტორინგიც, კონსულტანტი ვარაუდობს, რომ საკმაოდ მცირე ფინანსური რესურსი იქნება საჭირო ამისათვის.

ამის შემდეგ ბ-ნმა კლერმა წარმოადგინა ქსს ევოლუციის გეგმის მონახაზი და მოკლედ ისაუბრა გეგმის შემადგენელი ნაწილების შესახებ (იხ. გეგმის მონახაზი დანართის სახით).

ქ-ნმა ქეთევან სტილიამ დასვა შეკითხვა ქსს ევოლუციის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებით. **ქ-ნმა ნინო ბერძულმა** დაადასტურა აღნიშნული საკითხის მნიშვნელობა და სთხოვა კონსულტანტებს სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

ბ-ნმა ტიმ კლერმა აღნიშნა, რომ ქვეყნების უმრავლესობისათვის ქსს ევოლუცია ახალი საკითხია. იმ 9 ქვეყნიდან, რომელთაც უკვე შეუწყდათ გლობალური ფონდის მხარდაჭერა, რვამ ვერ შეინარჩუნა ქსს. მან სთხოვა ქ-ნ მატოვიჩს ესტონეთის მაგალითის მოყვანა, სადაც გარკვეული დროით მოხდა ქსს-ს შენარჩუნება.

ქ-ნმა სანია აღნიშნა, რომ ესტონეთი მართლაც რომ კარგ მაგალითს წარმოადგენს. აქ ქსს შეიქმნა მხოლოდ გლობალური ფონდის გრანტების ზედამხედველობის მიზნით და როდესაც აღნიშნული გრანტები დასტულდა, ქსს-ს ფუნქციონირებაც შეწყდა. ქსს-ს მოდელისა და ფუნქციების შენარჩუნების მიზნით შეიქმნა აივ/შიდსის მაკოორდინირებელი კომიტეტი, რომელიც ქსს-თან ერთად 1 წლის განმავლობაში პარალელურ რეჟიმში ფუნქციონირებდა. აღნიშნული კომიტეტი სტუქტურითა და ფუნქციებით ქსს-ს მსგავსი იყო. ქსს-ს ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ აღნიშნულმა კომიტეტმა გააგრძელა აივ აქტივობების კოორდინაცია ეროვნულ დონეზე. ყველა პროგრამული აქტივობა, რომელსაც ადრე გლობალური ფონდი აფინანსებდა, გადავიდა სახელმწიფოს ხელში, რაც გარკვეული პერიოდით გაგრძელდა. შემუშავდა ჯანმრთელობის ეროვნული გეგმა, სადაც მოხდა ყველა არსებული სტატეგიების (აივ/ტბ/ნარკოპოლიტიკის სტრატეგიების) გაერთიანება. მას შემდეგ რაც 2012 წელს ამოიწურა აივ სტრატეგიის მოქმედების ვადა, აღნიშნული ორგანოც გაუქმდა. ჯანმრთელობის ეროვნულ გეგმას ჰყავდა საკუთარი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც სამწუხაროდ მხოლოდ სამთავრობო კომიტეტი იყო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების გარეშე და შესაბამისად ამ უკანასკნელთა ჩართულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. დღესდღეისობით ესტონეთში არ აქვთ ქსს-ს მსგავსი ორგანო. ამჟამად ისინი ისევ ფიქრობენ ცალკე აივ სტატეგიის შემუშავებაზე.

ბ-ნმა ტიმ კლერმა აღნიშნა ის საკითხები, რომლებიც საქართველოს სასარგებლოდ მეტყველებს და მაგალითს წარმოადგენს სხვა ქვეყნების ქსს-ებისათვის: ბრძანება #220, რომლის მიხედვითაც ქსს წარმოადგენს ეროვნულ მაკოორდინირებელ ორგანოს არა მარტო გლობალური ფონდის პროგრამებისათვის, ასევე მისი მეშვეობით უზურუნველყოფილია 40% სამოქალაქო საზოგადოების წევრების წარმომადგენლობა ქსს-ში. მან ასევე ისაუბრა იმ ოთხი პრინციპის შესახებ, რომელიც უზურუნველყოფს ქსს-ს წარმატებას: (1) ორგანოს აქვს უფრო მეტი ფუნქციები, ვიდრე გლობალური ფონდის გრანტების ზედამხედველობა; (2) აქვს ძლიერი, ფორმალური კავშირები ქვეყანაში

არსებულ სხვა ორგანოებთან; (3) ქსს–ს ფუნქციონირებას თან ახლავს დამატებითი ღირებულების მტკიცებულება და (4) წარმოადგენს როლურ მოდელს ქვეყანაში არსებული სხვა ორგანოებისათვის.

შეხვედრის დასასრულს ქ–მა ნინო ბერძულმა განაცხადა, რომ ჩვენ უნდა კრიტიკულად ვიფიქროთ ქსს–ს მომავალ სტრუქტურასა და ფუნქციებზე, უნდა შენარჩუნდეს იგივე სტრუქტურა და ფუნქციები, მოხდეს ფუნქციების დამატება თუ სხვა შესაბამისი ცვლილებები, უნდა ვიფიქროთ საზედამხედველო კომიტეტის, სხვა ქვე–კომიტეტებისა და სამდივნოს ფუნქციებზე, ქსს–ს ევოლუციის ზემოაღნიშნულ 7 შესაძლო ვერსიაზე და შეირჩეს მათგან ყველაზე შესაფერისი. ყველა აღნიშნული საკითხის გარშემო დისკუსიები წარიმართება პასკ–ის ფარგლებში. ქ–მა ნინომ შეაჯამა შეხვედრა და მადლობა გადაუხადა დამსწრეებს მონაწილეობისათვის.

გადაწყდა:

- პასკ–ი იქნება ძირითადი პლატფორმა და დაიწყებს დისკუსიების ქსს ევოლუციის გეგმის თაობაზე და წარუდგენს რეკომენდაციებს ქსს–სა და კონსულტანტებს.
- კონსულტანტები ქსს ევოლუციის გეგმის სამუშაო ვერსიას წარადგენენ 2017 წლის ბოლოსთვის.
- ქსს ევოლუციის გეგმის შემუშავების პროცესში კონსულტანტებისთვის ძირითადი საკონტაქტო პირი იქნება პოლიტიკისა და ადვოკატირების სპეციალისტი.
- ქსს–ს ევოლუციის გეგმისა და პროგრამული გარდამავალი პერიოდის გეგმის მთავრობის მიერ დასამტკიცებლად ერთდოული წარდგენის საკითხი შეთანხმდება გლობალური ფონდის პორტფოლიოს მენეჯერთან.

ოქმის შემდგენელი – თამარ ზურაშვილი

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი

ნინო ბერძული

თამარ ზურაშვილი

პასკ–ის თავმჯდომარე
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი მოადგილე

პოლიტიკის და ადვოკატირების
სპეციალისტი

ქსს ევოლუციის გეგმის მონახაზი

1. შესავალი (გეგმის მიზანი და ამოცანები)
2. მიმოხილვა
 - 2.1. ქსს–ს შექმნა / სამთავრობო ბრძანებები
 - 2.2. ქსს სტრუქტურა (მ.შ. ჩარჩო დოკუმენტები) და ფუნქციონირება
 - 2.3. კოორდინაცია/კავშირები სხვა ორგანოებთან/პლატფორმებთან
3. ქსს ევოლუციის მოსამზადებელი ეტაპები
 - 3.1. ქსს მუშაობის გაუმჯობესება
 - 3.2. ქსს სტრუქტურა ევოლუციისას
 - 3.3. ევოლუციის საორგანიზაციო ჯგუფი და ძირითადი საკონტაქტო პირები (ჩამოყალიბება, როლები და პასუხისმგებლობები და ა.შ.)
 - 3.4. ქსს–ს შესაძლებლობების განვითარება ევოლუციისთვის (ამოცანები და ეტაპები, ტექნიკური დახმარების საჭიროებები და გეგმები)
 - 3.5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და დისკუსიები
 - 3.6. რესურსების მობილიზაცია
4. ქსს–ს ევოლუცია
 - 4.1. ქსს–ს ხედვა და სახელმძღვანელო პრინციპები
 - 4.1.1. (მომავალი) მარეგულირებელი ჩარჩო
 - 4.1.2. (მომავალი) ქსს–ს სტრუქტურა
 - 4.1.3. (მომავალი) ქსს–ს ფუნქციები
 - 4.1.4. (მომავალი) კავშირები და კოორდინაცია სხვა უფრო ფართო მაკოორდინირებელ პრაქტფორმებთან
 - 4.1.5. (მომავალი) ფინანსური მექანიზმები
 - 4.2. ევოლუციის პროცესი
 - 4.2.1. ევოლუციის ძირითადი ეტაპები
 - 4.2.2. განხორციელების გეგმა (აქტივობების გეგმა როლებით, პასუხისმგებლობებითა და განხორციელების ვადებით)
 - 4.3. ევოლუციის ეტაპები (მაილსთოუნები)
 - 4.4. წარმატებული ევოლუციის გამოწვევები და ბარიერები და მათი შემამსუბუქებელი ღონისძიებები
5. ევოლუციის პროცესის მონიტორინგი
 - 5.1. მონიტორინგის ინსტრუმენტები
 - 5.2. გაზომვადი ინდიკატორები
 - 5.3. დოკუმენტაცია და ანგარიშგება
6. მდგრადობის უზრუნველყოფა
 - 6.1. ქსს

6.2. ქსს ქვე-სტრუქტურები, მათ შორის სამდივნო

6.3. სამოქალაქო საზოგადოება

7. ბიუჯეტი